



ფარლი მოუეტი

ნუ იყვირებ:
მგელი, მგელი!

დიდგენს
გილჩოთქა

ფარლი მოუეტი
ნუ იყვირებ: მგელი, მგელი!

Farley Mowat
NEVER CRY WOLF

ინგლისურიდან თარგმნეს ნანა კიკნაძემ და ალექსანდრე ქორელმა

© Farley Mowat Limited 1963
© Georgian edition “Diogene Publishers” Limited 2022
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2022
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-746-6

www.diogene.ge

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	7
1. მგლის პროექტი.....	13
2. „მგლის წვენი“	24
3. მშვიდობიანი დაშვება	32
4. როცა მგელი მთლად მგელი არ არის	37
5. კონტაქტი	44
6. ბუნაგი.....	52
7. დაკვირვება დამკვირვებელზე.....	60
8. ტერიტორიის მონიშვნა.....	67
9. კეთილი ბებერი ბიძია ალბერტი	72
10. თავკებსა და მგლებზე.....	81
11. თავვი თეთრი საწებლით	89
12. მგლის სული.....	96
13. მგლური საუბარი	102
14. ლეკვების დრო	109
15. ბიძია ალბერტი გამიჯნურდა.....	115
16. მორთმეული საუზმე.....	122
17. სტუმრები „ფარული მდელოდან“	126
18. ოჯახური ცხოვრება	132
19. მგლების დედიშობილა დევნა	139
20. ჭიები	146
21. სკოლის დღეები.....	153
22. სკატოლოგია	159
23. მგლების ყლელა	167
24. სამყარო, რომელიც დავეკარგეთ	174
ეპილოგი	179

წინასიტყვაობა

არც ისე იშვიათია შემთხვევა, როცა ავტორი ახლობელ და საყვარელ არსებას უძღვნის თავის ნაწარმოებს. ეს წიგნიც ეძღვნება „ანჯელინას“, მგელს, ცხოველს, რომელიც ავაზაკობისა და გაუმადლობის სინონიმად ქცეულა. ამიტომ არა მხოლოდ მიძღვნამ, არამედ წიგნის სათაურმაც შეიძლება გაოცება გამოიწვიოს...

უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც კაცობრიობა სერიოზულად ჩააფიქრა გარეულ ცხოველთა რაოდენობის მკვეთრმა შემცირებამ. რა არის ამის მიზეზი? ყველა მათგანის ჩამოთვლა ძნელია, მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია ოდესღაც მომხდარი ცხოველთა სამყაროს დაყოფა „მავნებელ“ და „სასარგებლო“ ცხოველებად. თუმცა კი ადამიანის ხელით ორივე უმონყალოდ ნადგურდებოდა, ერთი მავნებლობის, მეორე კი სარგებლიანობის გამო. ცხოველთა სამყაროს ამგვარმა დაყოფამ (სხვა მიზეზებთან ერთად) მნიშვნელოვნად დაარღვია ბუნებრივი წონასწორობა. ამას დაემატა მეცნიერებისა და ტექნიკის მძლავრი განვითარება, ცივილიზაცია სამყაროს ყველა კუთხე-კუნჭულში შეიჭრა და ადამიანი დაშორდა ბუნებას, დაიკარგა ბუნებასთან კონტაქტის საუკუნეების მანძილზე შექმნილი ჩვევა და გამოცდილება.

ფარლი მოუეჭისა და მისი მსგავსი თავდადებული ადამიანების წყალობით კაცობრიობამ შეძლო, გადაესინჯა თავისი განწყობა ცხოველთა სამყაროს, პირველ რიგში კი „მავნებელ“ ცხოველთა მიმართ. მგელი ერთ-ერთი მათგანია.

რამდენიმე სიტყვით მოგახსენებთ, რა ბრალი ედება მგელს და, საერთოდ, რაში მდგომარეობს „მგლის პრობლემა“. წითელქუდასა და მისი ბებიის შეჭმის ამბავს თუ არ ჩავთვლით, ბრალდების პირველი მუხლია ჩლიქოსნების, ანუ სასარგებლო ცხოველების, განადგურება, ცხოველებისა, რომელთა რაოდენობის შემცირებაში თვით ადამიანსაც დიდი წვლილი მიუძღვის. და კიდევ ერთი – ეს უკვე სერიოზული და რეალური – ბრალდება, რომელიც წინდახედულ მოქმედებას და სათანადო ზომების მიღებას მოითხოვს, ადამიანის მეურნეობისათვის ზიანის მიყენებაა.

ზედმეტი იქნებოდა აქ ამ ბრალდებების დანვრილებით გარჩევა. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ პირველი ზღაპრების სამყაროდანაა, მეორე მგლის ბუნების უცოდინარობითაა გამოწვეული, მესამე კი მართლაც სერიოზული პრობლემაა, მაგრამ თუ ყველა ჩვენგანი გულისხმიერებითა და მონდომებით, ცრურწმენის გარეშე მოეკიდება საქმეს, მისი გადაჭრა შედარებით იოლია. დღეისათვის ფართოდ გამოიყენება მტაცებლების რაოდენობის მეცნიერულად დასაბუთებული ხელოვნური რეგულირება იმ რაიონებში, სადაც ისინი ზიანს აყენებენ მეურნეობას. რეგულირებაში იგულისხმება არა მხოლოდ ცხოველების რაოდენობის ფიზიკური შემცირება, არამედ მათი სხვადასხვა ხერხით განდევნა ადამიანებისათვის ხელსაყრელი ადგილებიდან.

არ მინდა, წინასიტყვაობაში ვილაპარაკო მგლის ბიოლოგიაზე, მისი ქცევის ამა თუ იმ მხარეზე, რომლებზეც, უეჭველია, მკითხველმა ჯერ არაფერი იცის. წინასწარმა კომენტარებმა შეიძლება შეამციროს ის ინტერესი და სიამოვნება, მკითხველს რომ ელის. მშურს მათი, ვინც პირველად უნდა გადაშალოს ეს ბრწყინვალე წიგნი, რომელშიც საოცრადაა შერწყმული აღწერის დოკუმენტურობა, მხატვრულობა და არაჩვეულებრივი იუმორი.

მინდა, წინასწარ გავაფრთხილო მკითხველი, რომ ფარლი მოუეტის მოყვანილი ყველა მოსაზრებისა თუ ფაქტის პირდაპირი გადმოტანა ჩვენს დღევანდელ ბუნებრივ პირობებში არაფრით არ იქნებოდა გამართლებული – შეუძლებელია ზუსტი პარალელის გავ-

ლება კანადის თვალუწვდენელ უკაცრიელ სივრცეებში მობინადრე მგლებსა და საქართველოს მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მათ თანამომძიებებს შორის.

ამ ქვეყნად ბევრს შესტკივა გული გარეულ ცხოველებზე. ბევრს შეუწირავს მთელი თავისი სიცოცხლე და ენერგია მათი შესწავლისა და გადარჩენისათვის, ოღონდ სხვებისათვის არ გაუნდვიათ ნაფიქრალი და ნამოღვაწარი. მაგრამ არიან კიდევ ფარლი მოუეტის, ჯოი ადამსონის, ჯეინ გუდოლის, ბერნჰარდ გრჟიმეკის, ჯერალდ დარელისა და სხვათა მსგავსი ბედნიერი ადამიანები, რომლებსაც ღვთით მომადლებული ნიჭი აქვთ, ხალხს გაუზიარონ თავიანთი სიყვარული, აღტაცება და გულისტკივილი, საშუალება მისცენ ყველას, გაეცნონ ცხოველთა საოცარ სამყაროს, ბავშვობიდანვე შეიყვარონ იგი, რადგან ცოცხალი ბუნების სიყვარულის გარეშე შეუძლებელია ჭეშმარიტი კაცთმოყვარე ადამიანის აღზრდა, ამ სიყვარულისა და ერთგულების გარეშე შეუძლებელია, რამე ვიღონოთ ნებისმიერი „მაენე“ თუ „სასარგებლო“ იშვიათი ცხოველის გადასარჩენად.

იასონ ბადრიძე

ედღვნება ანჯელინას, ანგელოზს!

მგლის პროექტი

დიდი მანძილი გადავლახე დროსა და სივრცეში, ვიდრე ონტარიოს შტატის ქალაქ ოუკვილში მცხოვრებ ბებია მოუეტის სახლის სააბაზანოდან ცენტრალურ კივატინში, უნაყოფო მიწებზე¹ მდებარე მგლის ბუნაგამდე მივალწვედი. არ ვაპირებ მთელი განვლილი გზის გახსენებას, მაგრამ, ასეა თუ ისე, ყოველ ამბავს უნდა ჰქონდეს დასაწყისი, მგლებთან ერთად ჩემი ცხოვრების ამბავი კი სწორედ ბებიას სააბაზანოში იწყება.

ხუთი წლისა ჯერ კიდევ არ ვამყლავნებდი ჩემი მომავალი მონოდების ნიშნებს, თუმცა ნიჭიერ ბავშვთა უმრავლესობას უფრო ადრეულ ასაკშიც აქვს წარმოდგენილი თავისი მომავალი და, რადგანაც თავი ვერაფრით გამოვიჩინე, იმედგაცრუებულმა მშობლებმა ოუკვილში გამამგზავრეს და იქ დამტოვეს ბებიასა და ბაბუას ანაბარა, თვითონ კი დასასვენებლად წავიდნენ.

ოუკვილის კარ-მიდამო, რომელსაც „მწვანე ღობე“ ერქვა, მეტიმეტად დიდებული იყო და იქ თავს მყუდროდ ვერ ვგრძნობდი. ჩემს ბიძაშვილს, „მწვანე ღობის“ ჩემზე რამდენიმე წლით უფროს მკვიდრს, უკვე აღმოეჩინა თავისი მონოდება – სამხედრო სამსა-

¹ Barren Lands (სიტყვასიტყვით „უნაყოფო მიწები“) – კანადაში ტუნდრის რაიონებს უწოდებენ ასე.

ხური. სათამაშო ჯარისკაცების მძლავრი არმია შეეგროვებინა და მისი შემწეობით სურდა, მეორე ველინგტონი გამხდარიყო. მე საშინლად ტლანქი და უმწეო აღმოვჩნდი ნაპოლეონის როლში და ამან ისე განარისხა იგი, რომ უარი განაცხადა ჩემთან ყოველგვარ ურთიერთობაზე, გარდა ყველაზე ოფიციალური შემთხვევებისა.

წარმოშობით უელსელი ბებია ძველი არისტოკრატი მანდილოსანი იყო და პაპაჩემისათვის ვერა და ვერ ეპატიებინა, ოდესღაც რკინა-კავეულით რომ ვაჭრობდა. ცუდად არ მეპყრობოდა, მაგრამ ჩემში შიშის გრძნობას იწვევდა. ბებიასი ყველას ეშინოდა, მათ შორის პაპასაც, რომელმაც კარგა ხანია, თავი მოიყრუა და ამაში პოვა საშველი. პაპა მთელ დღეებს უზარმაზარ სავარძელში ჩაფლული ატარებდა, ბუდასავით მშვიდი და აუღელვებელი და „მწვანე ღობის“ დერეფნებში მოთარეშე ცხოვრებისეული ქარიშხლებისადმი აშკარად გულგრილი. ამავე დროს დანამდვილებით ვიცი, რომ შეეძლო, სამი სართულის იქით მდებარე ოთახში ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვა „ვისკი“ გაეგონა.

რაკი „მწვანე ღობეში“ ჩემი ჭკუის ამხანაგი ვერ ვიპოვე, მარტოკამ აქეთ-იქით ხეტიალი დავიწყე და მტკიცედ გადავწყვიტე, ენერგია რაიმე სასარგებლო საქმეზე დამეხარჯა. ვინმეს ამის დანახვა რომ შესძლებოდა, სწორედ რომ ნათელი წარმოდგენა შეექმნებოდა ჩემს მომავალზე.

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს პატარა ხევის მიდამოებში უმიზნოდ ხეტიალისას მთლად დამშრალ გუბებს წავანყდი. მის ფსკერზე მწვანე ლამით ოდნავ დაფარული სამი ხლაკუნა სიცოცხლეს ესალმებოდა. დავინტერესდი. ჯოხით ამოვიყვანე ნაპირზე და მოთმინებით დავუწყე ლოდინი, როდის დაიხოცებოდნენ, მაგრამ მათ სიკვდილი არ უნდოდათ. როგორც კი ვიფიქრებდი, უკვე დაიხოცნენ-მეთქი, დაალებდნენ თავიანთ უშველებელ მახინჯ ყბებს და კიდევ ერთხელ ჩაისუნთქავდნენ. ხლაკუნების მხრიდან ბედისადმი ასეთმა შეურიგებლობამ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე,

რომ თუნუქის ქილა მოვნახე, თევზები შიგ ჩავსხი, მცირეოდენი შლამი წავაყარე და სახლში წავიყვანე.

უკვე მომწონდნენ კიდეც და მინდოდა, უკეთ გავცნობოდი, მაგრამ მანამდე ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო გადასაწყვეტი – სად დამებინავებინა ისინი. სარეცხის ტაშტები „მწვანე ლობეში“ არ გაგვანჩნდა. იყო აბაზანა, მაგრამ საცობი არ ჰქონდა მორგებულ-ლი და წყალი შიგ ორიოდე წუთს თუ ჩერდებოდა. უკვე ძილის დრო დადგა, მე კი ჯერაც ვერ მეპოვა გამოსავალი. თანაც ვგრძნობდი, რომ ეს შეუპოვარი თევზებიც კი ვერ გაძლებდნენ თუნუქის ქილაში მთელ ღამეს. სხვა გზა რომ აღარ მქონდა, თავი გავწირე და ბებიას ძველმოდურ უნიტაზში მივუჩინე დროებითი თავშესაფარი.

მაშინ ყმანვილი ვიყავი და, ცხადია, ვერ გავიგებდი, რა განსაკუთრებული სიძნელეები ახლავს სიბერეს. ამ სიძნელეთაგან ერთ-ერთმა გამოიწვია ის დრამატული და მოულოდნელი შეტაკება, რომელიც იმ ღამეს ბებიასა და ხლაკუნებს შორის მოხდა.

ეს ძალზე მტკივნეული განცდა იყო როგორც ბებიასათვის, ისე ჩემთვის და, ალბათ, ხლაკუნებისთვისაც. ამის შემდეგ ბებიას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ დაუკარებია პირი თევზეულისათვის და ღამღამობით მუდამ თან დაატარებდა ჯიბის ელექტროფარანს. რაც შეეხება ხლაკუნებს, დაბეჯითებით ვერ გეტყვით, ამ ამბავმა მათზე როგორ იმოქმედა, რადგან, როგორც კი აყალმაყალი ოდნავ მიწყნარდა, ჩემმა გულქვა ბიძაშვილმა უსულგულოდ ჩარეცხა ტუალეტი. ეს შემთხვევა გახდა ბიძგი იმ დიდი სიყვარულისა, რომელსაც ახლაც განვიცდი ცხოველთა სამყაროს უმცირესი არსებების მიმართ. ერთი სიტყვით, ხლაკუნების ამბავი ჩემი ჯერ როგორც ნატურალისტის, მოგვიანებით კი ბიოლოგის კარიერის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს. ასე დავადექი გზას მგლის ბუნებისაკენ.

ჩემი ახალგაზრდული გატაცება ცხოველთა სამყაროთი სწრაფად გადაიზარდა ძლიერ სიყვარულში. აღმოვაჩინე, რომ ის ადამიანებიც კი, ვისაც კვლევის პერიოდში შევხვდი, მომხიბლავები იყ-

ვნენ. ჩემი პირველი ჭკუის დამრიგებელი, შუახნის მოტლანდიელი, ყინულით ვაჭრობდა და ამით ირჩენდა თავს, მაგრამ თან ძუძუმწოვრების შესწავლით იყო გატაცებული და კარგი სპეციალისტიც გახლდათ. თურმე პატარაობისას ქეცი, კეთრი თუ რაღაც სხვა საყმანვილო სენი შეჰყროდა, რის შედეგადაც თმა პირწმინდად გაცვენოდა. ამ ტრაგედიას უნდა მივანეროთ ის ფაქტი, რომ ჩვენი შეხვედრის დროისათვის მას უკვე თხუთმეტი წელი შეენირა ჯუჯა გოფერების² ზაფხულის განგურის³ შესწავლისათვის. ამ კაცმა ისე მოიშინაურა გოფერები, რომ თავისებური სტვენით უხმობდა ხოლმე. ისინიც გამოძვრებოდნენ თავიანთი მინისქვეშა თავშესაფრიდან და სრულიად მშვიდად აძლევდნენ მკვლევარს საშუალებას, მათ ზურგზე ბენვის საფარველი შეემონმებინა.

არანაკლებ საინტერესო იყვნენ პროფესიონალი ბიოლოგები, რომლებსაც მოგვიანებით შევხვედრივარ. თვრამეტი წლისა ზაფხულის საველე სამუშაოებს ძუძუმწოვრების ცნობილ სპეციალისტთან ერთად ვენეოდი. ეს იყო ყველა შესაძლებელი სამეცნიერო ხარისხის მქონე სამოცდაათი წლის კაცი, რომლის თვალსაჩინო მდგომარეობა მეცნიერების სამყაროში მემინდვრიას საშვილოსნოს ნაწიბურების დანვრილებითი გამოკვლევით იყო მოპოვებული. ამ კაცმა, ამერიკის ერთ-ერთი დიდი უნივერსიტეტის პატივცემულმა პროფესორმა, უფრო მეტი იცოდა მინდვრის თავვის საშვილოსნოს შესახებ, ვიდრე ოდესმე სცოდნია ვინმეს. რაც მთავარია, ჭეშმარიტი ენთუზიაზმით შეეძლო ელაპარაკა თავის საგანზე. ალბათ, არასოდეს დამავინყდება მასთან გატარებული ერთი საღამო, როდესაც ბენვეულით მოვაჭრის, კრის ტომის ინდიელი მანდილოსნისა და ანგლიკანელი მისიონერისაგან შემდგარ, საკმაოდ ჭრელ საზოგადოებას ხიბლავდა ერთსაათიანი მონოლოგით მდედრი მემინდვრიას სქესობრივი აბერაციების შესახებ. ვაჭარმა მცდარად გაიგო ლექციის შინაარსი, მაგრამ წლების მანძილზე იუმორს მოკ-

² გოფერი – ზაზუნას მსგავსი პატარა ცხოველი.

³ განგური – ბუმბულის, ბალნისა და მისთ. პერიოდული ცვლა.

ლებულ, მოსაწყენ ქადაგებებს შეჩვეულმა მისიონერმა უცებ აუხ-
სნა მას საქმის ვითარება.

ჩემი, როგორც ნატურალისტის საქმიანობა ადრეულ წლებში
უშუალო და ხალისიანი იყო, მაგრამ როგორც კი მოწიფულობის
ხანაში შევედი და აღმოვაჩინე, რომ გატაცება პროფესიად უნდა
ქცეულიყო, საქმე ერთობ გართულდა. დიდი ხანია, დასრულდა ის
ბედნიერი დღეები, როდესაც უნივერსალური ცოდნით აღჭურვილი
ადამიანი ბუნებისმეტყველების ნებისმიერ სფეროში პოულობდა
თავისთვის რამე საინტერესოს და მეც იძულებული გავხდი, მეღია-
რებინა სპეციალიზაციის აუცილებლობა, თუკი ბიოლოგიაში წარ-
მატების მიღწევას ვაპირებდი, როგორც პროფესიონალი. და მაინც,
უნივერსიტეტში სწავლის პირველ ხანებში ძალიან გამიჭირდა ვინ-
რო ბილიკის ამორჩევა.

ერთხანს ვყოყმანობდი, ხომ არ მიმებადა ჩემი მეგობრისათ-
ვის, რომელიც სკატოლოგიაში – ცხოველთა განავლის შემსწავ-
ლელ მეცნიერებაში – სპეციალდებოდა და რომელიც მოგვიანებით
ავტორიტეტული სკატოლოგი გახდა ამერიკის შეერთებული შტა-
ტების ბიოლოგიურ სამმართველოში. მართალია, საგანი საკმაოდ
საინტერესოდ ჩავთვალე, მაგრამ მან მაინც ვერ გამოიწვია ჩემში
იმხელა ენთუზიაზმი, რომ მთელი ცხოვრების მიზნად დამესახა.
გარდა ამისა, ამ სფეროს შესწავლის მსურველთა რიცხვი ისედაც
საკმაოდ დიდი იყო.

ძალიან მაინტერესებდა ცოცხალ არსებათა შესწავლა მათ ბუ-
ნებრივ საარსებო გარემოში. საკმაოდ წიგნიერი ყმაწვილი გახლდით
და ამიტომ სიტყვა „ბიოლოგია“, რაც სიცოცხლის შესწავლას ნიშ-
ნავს, პირდაპირი მნიშვნელობით მესმოდა. განსაცვიფრებელ პარა-
დოქსად მიმაჩნდა ის, რომ ჩემი მრავალი თანამედროვე ცდილობდა,
რაც შეიძლება შორს გასცლოდა ცოცხალ არსებებს და ამჯობი-
ნებდა, ლაბორატორიის ასეპტიკური გარემოთი შემოფარგლულიყო,
სადაც მკვდარ (ხშირად მეტისმეტად მკვდარ) ცხოველურ მასალას
იყენებდნენ. ფაქტობრივად, უნივერსიტეტში ჩემი სწავლის პერიოდ-
ში მოდიდან გამოდიოდა ცხოველებთან, თუნდაც მკვდრებთან, ურ-

თიერთობა. ახალი ბიოლოგები სტატისტიკურ და ანალიზურ კვლევას უღრმავდებოდნენ, ხოლო სიცოცხლის ნედლი მასალა მხოლოდ და მხოლოდ გამომთვლელი მანქანების ამოსავსები საკვები იყო.

ახალ მიმართულებებს ვერ ვურიგდებოდი და ამან საკმაოდ უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩემს პროფესიულ მომავალზე. ჩემი თანატოლი სტუდენტები უკვე ეუფლებოდნენ სხვადასხვა უცხო სპეციალობას, რომელთა უმეტესობა თვითონვე გამოიგონეს იმ თეორიის საფუძველზე, რომ იშვიათი დარგის ერთადერთ სპეციალისტს კონკურენცია არ ემუქრებოდა, მე კი ჯერაც ვერ შევიძელი ზოგადიდან კონკრეტულზე გადასვლა. სწავლა მთავრდებოდა და, როგორც აღმოჩნდა, ჩემი ამხანაგების უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ შესანიშნავ კვლევით სამუშაოს მიიღებდა, მე კი ღირსშესანიშნავს ვერაფერს შევთავაზებდი ბიოლოგიას. ამის გამო მთავრობის სამსახურში ჩადგომა გარდაუვალი იყო.

წილისყრა ზამთრის ერთ დღეს მოხდა, როდესაც დომინიონის⁴ ნაკრძალთა სამმართველოდან მივიღე გამოძახება. იგი იუწყებოდა, რომ მენიშნება „გულუხვი“ ხელფასი – ას ოცი დოლარი თვეში და „ვალდებული“ ვარ, დაუყოვნებლივ გამოვცხადდე ოტავაში.

უყოყმანოდ დავემორჩილე ამ მკაცრ ბრძანებას, ვინაიდან უნივერსიტეტში კარგად ავითვისე, რომ მეცნიერული იერარქია თავისი მსახურებისაგან სრულ მორჩილებას მოითხოვს.

ორი დღის შემდეგ კანადის ქარიან, პირქუმ დედაქალაქში ჩავედი და გზა გავიკვლიე უსახურ, ბნელ ლაბირინთში, სადაც ნაკრძალთა სამმართველოს შეეფარებინა თავი. აქ წარვდექი უფროსი მამალოგის⁵ წინაშე, რომელიც ჩემი სკოლის ამხანაგი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ახლა ის თავის თავში ზედმეტად დარწმუნებულ მეცნიერად გადაქცეულიყო და იმდენად ჩაძირულიყო თავის პროფესიულ მოვალეობებში, რომ ძლივს მოვახერხე, თავი შემეკავებინა ზედმეტად მონიშნული სალმისაგან.

⁴ დომინიონი – იგულისხმება კანადა.

⁵ მამალოგი (Mammalogist) – ძუძუმწოვრების სპეციალისტი.

მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში ეგრეთ წოდებული „ორიენტაციის“ საშუალება მომცეს. ეს პროცესი, როგორც მივხვდი, იმისთვის იყო გამოგონილი, რომ უიმედო დეპრესიის ღრმა მორევში გადავეგდე. ყოველ შემთხვევაში, დანტესეული ბიუროკრატთა ლეგიონები, რომლებიც ბნელ, ფორმალინით აქოთებულ ბუნაგებში მოსაწყენი მონაცემების შეკონინებაზე ან უაზრო მოხსენებების წერაზე ფლანგავდნენ დროს, არაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ჩემში ახალი სამსახურისადმი მისწრაფება გაელვიძებინათ. ერთადერთი, რაშიც დანამდვილებით დავრწმუნდი ამ დროის განმავლობაში, ის იყო, რომ ოტავის ბიუროკრატიულ იერარქიასთან შედარებით მეცნიერული იერარქია ანარქისტების ძმობასავით გამოიყურებოდა.

ბოლოს ყოველივე იმით დამთავრდა, რომ ერთ დაუვინყარ დღეს დიდი ამბით წარმადგინეს შესამონმებლად მინისტრის მოადგილის კაბინეტში. იქ იმდენად გავკადნიერდი, რომ მას „მისტერ“-ით მივმართე. ჩემმა გაფითრებულმა და აცახცახებულმა თანმხლებმა უმაღვე გამომაძუნძულა შეხვედრიდან და მიხვეულ-მოხვეული გზებით მამაკაცთა საპირფარეშოში მიმიყვანა. იქ ჯერ ჩაიმუხლა, ყველა კაბინის კარქვეშ შეიხედა, რომ დარწმუნებულიყო, მარტონი ვართ და უცხო არავინ მოგვისმენსო და, ბოლოს, ჩურჩულით ამიხსნა, რომ მინისტრის მოადგილეს ყოველთვის, ყველა შემთხვევაში უნდა მივმართო: „შეფ“, ან, გამონაკლისის სახით, ბურებთან ომის დროიდან შემორჩენილი წოდებით – „პოლკოვნიკო“.

სამხედრო წოდებები, საერთოდ, ძალიან მიღებული იყო იმ დანესებულებაში. ყველა მოხსენებით ბარათს, თუ იგი ქვედა ფენებიდან მოდიოდა, ხელს აწერდა მავანი კაპიტანი ან მავანი ლეიტენანტი, ხოლო თუ ბარათი ზევიდან იყო, მაშინ პოლკოვნიკის ან ბრიგადის მეთაურის ხელმოწერა ამშვენებდა. იმ თანამშრომლებს, რომლებსაც არ მიეცათ საშუალება, მოეპოვებინათ სამხედრო სამსახურთან თუნდაც მიახლოებული წოდებები, ეძლეოდათ დამამცირებელი უფლება, თვითონვე გამოეგონებინათ შესაფერისი ჩინები: მაღალი წოდებები ხნიერი მამაკაცებისათვის და დაბალი წოდებები

ახალგაზრდებისათვის. ყველა როდი ეკიდებოდა ამ საკითხს სათანადო სერიოზულობით. ერთ ახალბედას ვიცნობდი თევზების განყოფილებიდან, რომელმაც წინდაუხედავად მოანერა მოხსენებით ბარათს: „ჯ. სმიტი, ეფრეიტორის მოვალეობის შემსრულებელი“. ერთი კვირის შემდეგ ეს თავზეხელაღებული ახალგაზრდა კუნძულ ელსმირის უკიდურესი ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზას გაუყენეს, სადაც მარტოს უნდა ეცხოვრა იგლუში და მცირე მახათას ცხოვრების ნირი შეესწავლა.

ამ მკაცრ კაბინეტებში ქარაფშუტობისათვის თავზე ხელს არავის უსვამდნენ. ამაში დავრწმუნდი თათბირზე, რომელიც ჩემს პირველ დავალებას მიეძღვნა. სათათბირო მაგიდაზე ამ დავალების შესასრულებლად აუცილებელი მასალების დანვრილებითი სია იდო. თანაც ყველაფერი მკაცრად იყო დასაბუთებული. ეს უზარმაზარი დოკუმენტი დაწესებულების წესისამებრ ხუთ ცალად იყო დაბეჭდილი და შთამბეჭდავად დასათაურებული:

ბანასხანი მგლის პროექტისათვის აუცილებელი მასალებისა

ისედაც გაღიზიანებული ვიყავი თავყრილობის ღრმა სერიოზულობისაგან და როდესაც კრებამ ამ შემადრწუნებელი საბუთების მეთორმეტე პუნქტის განხილვა დაიწყო, სრულიად დავკარგე წონასწორობა:

ქალაქი ტუალეტის, სახელმწიფო სტანდარტისა – 12 შეკვრა.

საფინანსო განყოფილების წარმომადგენლის მკაცრმა შენიშვნამ, რომ მომჭირნეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს რაოდენობა შეიძლებოდა შემცირებულიყო, ხოლო საველე ექსპედიცია (ესე იგი მე) გარკვეული თავშეკავებისათვის მომზადებულიყო, ჩემი ისტერიული წამოხითხილება გამოიწვია. ორნი, ყველაზე ხნიერი მა-